



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერესელიძე დავით ნოდარის ძე

კერესელიძე დავით ნოდარის ძე (დ. 14. V. 1956, თბილისი), ინჟინერ-ჰიდროლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997), საქართვე. ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის - ნამდვ. წევრი (1997-იდან), საინჟინრო აკადემიის ნამდვ. წევრი (2007-იდან), იუნესკოსთან არსებული საქართვე. ჰიდროლ. კომიტეტის თავ-რე (1997-იდან).

1978 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.- გეოლ. ფაკ-ტი. 1982-87 მუშაობდა წყალთა მეურნ. ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად. 1986-87 სამეცნ. სტაჟირებით იმყოფებოდა კიოტოს (იაპონია) უნ-ტის საინჟინრო ჰიდროლოგიის ლაბორატორიაში, სადაც იკვლევდა იაპონიის წყალსაცავებს. მონაწილეობდა წყალსაცავებში მიმდინარე პროცესების პროგნოზირების მათ. მოდელის შემუშავებაში, რ-იც შემდგომ დაინერგა საქართვე. წყალსაცავებში.

1987-95 კ. იყო თსუ-ის გეოგრ.- გეოლ. ფაკ-ტის ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრის დოცენტი, 1995-2006 - პროფესორი. ამ პერიოდში მის მიერ შემუშავდა წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და დატბორვის უვნებელყოფის მეთოდები.

2003-05 კ. იყო თსუ-ის გეოგრ. ფაკ-ტის დეკანი, 2005-06 - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტის დეკანის მოადგილე გეოგრ. დარგში, 2006-10 - ჰიდროლ., მეტეოროლ. და ოკეანოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი. 2000-10 მუშაობდა ჰიდრომეტეოროლ. ინ-ტში. 2010-იდან კ. არის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის გეოგრ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ჰიდროლ., ოკეანოლოგიის და მეტეოროლ. კათედრის გამგე; 2014-იდან - წყალთა მეურნეობის ინ-ტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

კ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, რ-ებიც ძირითადად ეხება წყლის რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას, რეკრეაციის გავლენას წყლის ეკოსისტემებზე და სხვ. 1999–2012 თანაავტორებთან ერთად მონაწილეობდა გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში.

თხზ.: ჰიდროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდები, თბ., 2009; ზოგადი ჰიდროლოგია, თბ., 2011; ზოგადი ოკეანოლოგია, ნაწ. 1 – ზღვებისა და ოკეანეების ჰიდროლოგია, თბ., 2013; ; Assessment of the flooding in the Black Sea coastal area of Western Georgia, «Journal of Environmental Protection and Ecology (JEPE)», 2010, vol. 11, №4; Allowable Soil Erosion Rates in Georgia // ISSN: 1064-2293, «Eurasian Soil Science», 2013, vol. 46, №3; Assessment of the riverside vulnerability, «Journal of Environmental Biology», 2017, vol. 38, №5.
